



Illingworth Research Group Limited („ილინგვორთი“, „ჩვენ“, „ჩვენს“, „ჩვენი“) მოწოდებულია დაიცვას თქვენი კონფიდენციალურობა და განახორციელოს ქვემოთ მოცემული ზომები, რათა დაიცვას პერსონალური მონაცემები, რომლებსაც ვამუშავებთ თქვენს შესახებ, როდესაც იყენებთ ჩვენს პაციენტთა მმართველის მომსახურებას, მათ შორის ჩვენს PatientGO® აპლიკაციას.

კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებული სპონსორები ან მათ მიერ დანიშნული მესამე მხარის მომწოდებლები (როგორცაა საკონტრაქტო კვლევითი ორგანიზაციები) ჩართავენ ილინგვორთს ქვემოთ აღწერილი გარკვეული მომსახურების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მომსახურება, რომელსაც ილინგვორთი უწევს ჩვენს კლიენტებსა და მათი კლინიკური კვლევების ნებაყოფლობით მონაწილეებს, შეიძლება მოიცავდეს ამ მონაწილეთა მგზავრობისა და დაბინავების მოწყობას და მონაწილეთა იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც გონივრულად გაწეულია კლინიკურ კვლევებში მონაწილეობისას („მომსახურება“). ამ მომსახურებას უზრუნველყოფს ილინგვორთი ჩვენი PatientGO® აპლიკაციის მეშვეობით.

ეს კონფიდენციალურობის განცხადება, რომელშიც დროდადრო შეიძლება შევიდეს ცვლილებები, დეტალურად აღწერს, თუ როგორ შეუძლია ილინგვორთს დაამუშაოს თქვენი პერსონალური მონაცემები, როდესაც მომსახურების მოსაწოდებლად გამოიყენება PatientGO®-ის ვებსაიტები და აპლიკაციები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ის, თუ როგორ მუშავდება თქვენი პერსონალური მონაცემები კლინიკური კვლევის მიმდინარეობისას კვლევის სპონსორის ან კვლევის ცენტრის მიერ, აღწერილია კვლევის დოკუმენტაციაში, რომელსაც ისინი მოგაწვდიან და რაც არ არის გათვალისწინებული მიმდინარე კონფიდენციალურობის განცხადებაში.

## I. ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ

აპლიკაციის PatientGO® გამოყენებისას, ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას თქვენს შესახებ შემდეგნაირად:

- უშუალოდ თქვენგან;
- მესამე მხარის წყაროებიდან, როგორცაა მკვლევარები, რომლებიც ატარებენ იმ კლინიკურ კვლევას, რომელშიც მონაწილეობთ;
- ქუქი-ფაილების გამოყენებით (ანუ, მონაცემთა ფაილი, რომელიც ინახება თქვენს კომპიუტერში ან მოწყობილობაში ვებსაიტის ვიზიტისას) ილინგვორთის ვებსაიტზე; და
- აპლიკაციით PatientGO®.

### [A] ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდით

პერსონალური ინფორმაციის ტიპები, რომლებსაც ვაგროვებთ უშუალოდ თქვენგან, დამოკიდებულია თქვენზე გაწეულ კონკრეტულ მომსახურებაზე და შესაძლოა შეიცავდეს:

- საკონტრაქტო ინფორმაციას, როგორცაა თქვენი სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი;



- თქვენი მომვლელ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაციას, სადაც ეს შესაძლებელია, როგორცაა სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ასევე შეიძლება შევავროვოთ ინფორმაცია თქვენი და თქვენი აღმზრდელ(ებ)ის მოქალაქეობის შესახებ, საერთაშორისო მოგზაურობისა და ვიზის მოთხოვნათა საჭიროებიდან გამომდინარე.
- სისტემაში შესვლის სამომხმარებლო მონაცემებს, როგორცაა მომხმარებლის სახელები და პაროლები, პაროლის მინიშნებები და მსგავსი უსაფრთხოების ინფორმაცია;
- ანგარიშის რეგისტრაციისა და პროფილის სხვა ინფორმაციას, მათ შორის, თქვენი დაბადების თარიღი, სიმაღლე/წონა და საკონტაქტო ინფორმაცია გადაუღებელი შემთხვევებისათვის;
- ინფორმაციას სამოგზაურო დაჯავშნის შესახებ, როგორცაა მოგზაურობის დრო და თარიღი, შეხვედრის ადგილი და დანიშნულება, ღირებულება, ტრანსპორტირების სახეობა და კვება, განთავსებისა და დაბინავების სურვილები ან მოთხოვნები;
- გადახდის ინფორმაციას საკომპენსაციო მიზნებისთვის, როგორცაა ინვოისები, ქვითრები და გადახდის დამადასტურებელი საბუთები და გამოყენებადი საბანკო ინფორმაცია (მხოლოდ საბანკო ანგარიშის ინფორმაცია; ილინგვორთი არ აგროვებს საკრედიტო ბარათის ინფორმაციას);
- სახელმწიფოს მიერ გაცემულ პირადობის მოწმობის ნომრებს, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს პასპორტის, ვიზისა და/ან მართვის მოწმობის ინფორმაციას;
- ინფორმაციას, რომელიც შეგიძლიათ შეგვატყობინოთ, მაგ., საკითხები ან ინფორმაცია, რომელსაც გზავნით მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურში; და/ან საკომუნიკაციო უპირატესობებს, როგორცაა თქვენთვის სასურველი ენა და გაფრთხილებების სიხშირე, ტიპი და ფორმატი, რომლებზეც დარეგისტრირდით მომსახურების მისაღებად.


## [B] მიღებული ინფორმაცია მესამე მხარის წყაროებიდან

ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ კლინიკური კვლევის (სადაც თქვენ მონაწილეობთ) ჩამტარებელი დაწესებულებისგან/ცენტრისგან ან მკვლევრისგან, მათ შორის:

- საკონტაქტო ინფორმაცია, როგორცაა თქვენი სახელი, სახლის მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი;
- სხვა ანგარიშის სარეგისტრაციო ინფორმაცია, როგორცაა კლინიკურ კვლევაში მონაწილეობისას მინიჭებული ნომერი.

## [C] მოწყობილობისა და გამოყენების მონაცემები

PatientGO®-ის აპლიკაციამ ან ვებსაიტმა შესაძლოა ავტომატურად შეაგროვოს ინფორმაცია თქვენს შესახებ, როგორცაა:



- თქვენი კომპიუტერი და/ან მობილური მოწყობილობა და დაკავშირების ინფორმაცია, როგორცაა IP-მისამართი, ბრაუზერის ტიპი და ვერსია, საოპერაციო სისტემა, უნიკალური მოწყობილობისა და სხვა ტექნიკური იდენტიფიკატორები, შეცდომების შესახებ ანგარიშგება და წარმადობის მონაცემები;
- გამოყენების მონაცემები, როგორცაა თქვენს მიერ გამოყენებადი ფუნქციები და შერჩეული პარამეტრები, საიტის ბმულზე დაწკაპუნების ნაკადის მონაცემები, მათ შორის თარიღი და დროის ანაბეჭდი, მიმართვისა და გასვლის გვერდები და თქვენს მიერ ნახული ვებგვერდები;
- მდებარეობაზე დაფუძნებული მომსახურებისთვის, თქვენი მოწყობილობის ფიზიკური ადგილმდებარეობა და ქვეყნის სპეციფიური მოთხოვნები, როგორცაა ენა.

ჩვენ ვაგროვებთ ზემოთ მითითებულ მონაცემებს ჩვენი სერვერების, ქუქი-ფაილებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით. შეგიძლიათ აკონტროლოთ ქუქი-ფაილები თქვენი ბრაუზერის პარამეტრებისა და სხვა ხელსაწყოების მეშვეობით. მაგრამ, თუ აირჩევთ გარკვეული ქუქი-ფაილების დაბლოკვას, შესაძლოა ვეღარ შეძლოთ სისტემაში დარეგისტრირება, შესვლა, გარკვეულ ნაწილებზე წვდომა ან მომსახურების სრულად გამოყენება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ქუქი-ფაილების შეტყობინება მისამართზე <https://illingworthresearch.com/privacy-policy/#cookies>.


## [D] სხვა ინფორმაცია, შეგროვებული ჩვენი PatientGO® აპლიკაციის მეშვეობით

თუ გადაწყვეტთ PatientGO® აპლიკაციის გამოყენებას, ასევე შეგიძლიათ შევაგროვოთ შემდეგი ინფორმაცია:

- *გეომდებარეობის ინფორმაცია.* შესაძლოა მოვითხოვოთ წვდომა ან ნებართვა ადგილმდებარეობაზე დაყრდნობილი ინფორმაციის თვალყურის დევნებაზე
- *მობილური მოწყობილობის წვდომა.* შესაძლოა მოვითხოვოთ გარკვეულ ფუნქციებზე წვდომა ან ნებართვა თქვენი მობილური მოწყობილობიდან, მაგ., თქვენი მობილური მოწყობილობის კალენდარი, შეხსენებები და სხვა ფუნქციები.
- *ამოსავარდნი შეტყობინებები.* შეიძლება მოგთხოვოთ თქვენთვის ამოსავარდნი შეტყობინებების გაგზავნა თქვენი ანგარიშისა და მოწოდებული მომსახურების ან PatientGO® აპლიკაციის გარკვეული ფუნქციების შესახებ.

პირველ რიგში, ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჭიროა PatientGO® აპლიკაციის უსაფრთხოებისა და გამართული მუშაობის შესანარჩუნებლად, პრობლემების აღმოსაფხვრელად და ჩვენი შიდა ანალიტიკისა და ანგარიშგების მიზნებისთვის.

თუ არ გსურთ ამ ტიპის კომუნიკაციის მიღება, შეგიძლიათ გამორთოთ ის თქვენი მოწყობილობის პარამეტრებიდან.



## II. როგორ ვიყენებთ თქვენს ინფორმაციას

შზად ვართ გაგიწიოთ თქვენთვის შესაფერისი და სასარგებლო გამოცდილების მომსახურება. ჩვენ ვიყენებთ თქვენს პირად ინფორმაციას იმის მიხედვით, თუ როგორ ურთიერთობთ ჩვენთან და/ან PatientGO® აპლიკაციასთან:


- უზრუნველყოფთ, ვააქტიურებთ, გენმარებით და ვმართავთ PatientGO® აპლიკაციის მეშვეობით მოწოდებული მომსახურების წვდომასა და გამოყენებას იმ კლინიკურ კვლევასთან მიმართებით, რომელშიც მონაწილეობთ;
- გატყობინებთ ცვლილებების, განახლებებისა და სხვა განაცხადების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობის ჯავშნებთან და/ან განთავსებასთან;
- გადავხედავთ, ვაფასებთ და ვპასუხობთ თქვენს მოთხოვნებს, შეკითხვებს, კომენტარებს ან წუხილებს PatientGO® აპლიკაციასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ვზრდით და ვაუმჯობესებთ მომსახურებას, როგორცაა ახალი შიგთავსისა ან ფუნქციების დამატება PatientGO® აპლიკაციაში; და
- უზრუნველვყოფთ ტექნიკურ და პროდუქტის სხვა მხარდაჭერას და ხელს ვუწყობთ PatientGO® აპლიკაციის დაცულ და უსაფრთხო მუშაობას.

თქვენთან კომუნიკაციას გავმართავთ მხოლოდ იმისთვის, რომ გამოგიგზავნოთ მომსახურებასთან დაკავშირებული ელ-წერილები, რომლებიც აუცილებელია თქვენი ანგარიშის მართვა/გამოყენებისთვის, მომსახურების მოთხოვნებზე პასუხის გაცემისთვის ან სხვა, არა-მარკეტინგული მიზნებისთვის.

## III. მონაცემთა განსაკუთრებული კატეგორიები

Illingworth Patient Concierge Services-ის გუნდმა შეიძლება დაამუშაოს პერსონალური მონაცემების „განსაკუთრებული“ კატეგორიები, მათ შორის, მონაცემები თქვენი ჯანმრთელობის შესახებ. ჯანმრთელობის ასეთი მონაცემები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას თქვენი გადაადგილების შესახებ, როცა ასეთი მონაცემების დამუშავება საჭიროა მომსახურების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეს მონაცემები შეიძლება საჭირო გახდეს თქვენი მოგზაურობის ან განთავსების ხელშესაწყობად და შეიძლება მოიცავდეს მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვალიდის ეტლის ხელმისაწვდომობასთან, მხედველობის დაქვეითებასთან, თვითმფრინავში საჭირო სამედიცინო შემოწმების პირობებთან, სამედიცინო აღჭურვილობის ტრანსპორტირებასთან ან დიეტის მოთხოვნებთან და თქვენი საჭიროებიდან გამომდინარე დადგენილი ნებისმიერი სხვა მონაცემებთან ჩასხდომის ან ტრანზიტის ხელშესაწყობად. ასეთი მონაცემების დამუშავება განხორციელდება მხოლოდ თქვენი სახელით თქვენი თანხმობის საფუძველზე მოგზაურობისა და/ან დაბინავების შეთანხმების შეზღუდული მიზნებისთვის.

## IV. თქვენი ინფორმაციის გაზიარება



მომსახურების უზრუნველსაყოფად, შესაძლოა გაუზიაროთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია ჩვენს:

- ფილიალებს ილინგვორთის კომპანიების ჯგუფში და გარკვეულ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიას, მომხმარებელთა მომსახურებასა და სხვა, ზოგადი მომსახურების ფუნქციებს, რათა მისცენ ილინგვორთს მომსახურების მიწოდების საშუალება; და/ან
- მიმწოდებლებსა და მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებლებს, მათ შორის, გადახდის გადამამუშავებლებს, ტურისტულ სააგენტოებს, ავიაკომპანიებს, ავტობუსების, სასწრაფო დახმარების და/ან ტაქსის მომსახურებას, თარგმანის სპეციალისტებს, ანაზღაურების პროვაიდერებს და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების პარტნიორებს და სასტუმროებს, ყოველგვარი მოგზაურობის, დაბინავების და ანაზღაურების ხელშესაწყობად.

ასევე გავამჟღავნებთ თქვენს პირად ინფორმაციას, სადაც ასეთი გამჟღავნება აუცილებელია:


- ნებისმიერი მოქმედი კანონის, დადგენილების, სამართლებრივი პროცესის ან სხვა სამართლებრივი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად;
- თაღლითობის, უსაფრთხოების ან ტექნიკური პრობლემების აღმოჩენის, გამოძიების და პრევენციაში დახმარებისათვის;
- ილინგვორთის უფლებების, ქონების ან უსაფრთხოების დასაცავად ჩვენი მომხმარებლისთვის, თანამშრომლებისთვის ან სხვებისთვის; და
- როგორც კორპორატიული ოპერაციის ნაწილი, როგორცაა აქტივების გადაცემა ან შექმნა ან შერწყმა სხვა კომპანიასთან.

## V. მონაცემთა შენახვა

ჩვენ ვინახავთ თქვენს პირად ინფორმაციას მანამ, სანამ ეს საჭიროა მომსახურების უზრუნველსაყოფად და თქვენს მიერ მოთხოვნილი ოპერაციების შესასრულებლად, ან სხვა არსებითი მიზნებისთვის, როგორცაა ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება, საქმიანი და ფინანსური ჩანაწერების შენარჩუნება, დავების გადაწყვეტა, უსაფრთხოების დაცვა, გამოვლენა, თაღლითობისა და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და ჩვენი შეთანხმებების აღსრულება.

## VI. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

ჩვენ ვიღებთ ზომებს, რათა დავიცვათ თქვენი პერსონალური ინფორმაცია დაკარგვის, ქურდობის, ბოროტად გამოყენებისა და არასანქცირებული წვდომის, გამჟღავნების, გადაკეთებისა და განადგურებისგან შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების



მეშვეობით, მათ შორის, დაშიფვრის ტექნოლოგიებით მოძრაობაში მყოფი მონაცემებისა და არააქტიური მონაცემებისათვის.

თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება იყოს შენახული და დამუშავებული თქვენს რეგიონში ან სხვა ქვეყანაში, სადაც ილინგვორთის კომპანიებსა და მათი მომსახურების მომწოდებლებს აქვთ სერვერები და მოწყობილობები. ჩვენ ვიღებთ ზომებს, მათ შორის, ხელშეკრულებების მეშვეობით (როგორცაა ევროკავშირის კომისიის მიერ დამტკიცებული სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები), რათა უზრუნველვყოთ, რომ ინფორმაცია კვლავ იყოს დაცული მდებარეობის ადგილას მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი დაცვის სტანდარტების შესაბამისად.


იურისდიქციებს, რომლებშიც ილინგვორთის კომპანიები და მათი მომსახურების მომწოდებლები ინახავენ სერვერებსა და მოწყობილობებს, შეიძლება არ ჰქონდეს ისეთივე ყოვლისმომცველი მონაცემთა დაცვის ან სხვა მსგავსი კანონები, როგორც თქვენს ქვეყანაში. თუმცა, ილინგვორთი მიიღებს ყველა საჭირო ზომას თქვენი პირადი ინფორმაციის დასაცავად ამ კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებისა და მოქმედი კანონის შესაბამისად.

## VII. დამუშავების საფუძველი

როდესაც ვამუშავებთ რაიმე პერსონალურ ინფორმაციას, ვმოქმედებთ კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების ფარგლებში. ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას მხოლოდ მაშინ:

- როდესაც ეს აუცილებელია მომსახურების გასაწევად, ტრანზაქციის შესასრულებლად თქვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით ხელშეკრულების დადებამდე;
- როდესაც ეს საჭიროა ჩვენი შესაბამისობისთვის მოქმედ კანონმდებლობასთან ან სხვა სამართლებრივ ვალდებულებებთან;
- როდესაც ეს საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ჩატარებული დავალების შესასრულებლად;
- საჭიროებისამებრ, გამომდინარე თქვენი თანხმობიდან; და/ან
- ჩვენი ბიზნესის ფუნქციონირებისთვის, ჩვენი სისტემების, კლიენტებისა და მომხმარებლის უსაფრთხოების დასაცავად, თაღლითობის აღმოსაჩენად ან თავიდან ასაცილებლად, ან ჩვენი სხვა ლეგიტიმური ინტერესების შესასრულებლად, როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემულ განყოფილებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თქვენი კონფიდენციალურობის უფლებები აღემატება ჩვენს ინტერესებს.

## VIII. თქვენი უფლებები



კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის გარკვეული კანონების თანახმად, თქვენ გაქვთ უფლება საჭიროებისამებრ უფასოდ მოითხოვოთ:

- წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე, მისი კორექტირება და წაშლა; და
- თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შეზღუდვა ან ჩვენ მიერ მის დამუშავებაზე წინააღმდეგობაზე; და/ან თქვენი პერსონალური ინფორმაციის გადაადგილება.

სადაც ჩვენ ვეყრდნობით თქვენს თანხმობას პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე, უფლებამოსილი ხართ გააუქმოთ თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს და სადაც ჩვენ ვეყრდნობით ლეგიტიმურ ინტერესებს, თქვენ შესაძლოა გქონდეთ უფლება შეწინააღმდეგოთ ჩვენ მიერ დამუშავებას.

თანხმობის ნებისმიერ დროს გაუქმება გავლენას არ მოახდენს ნებისმიერი დამუშავების მართლზომიერებაზე თქვენ მიერ ამ თანხმობის გაუქმებამდე. თუ გააუქმებთ თქვენს თანხმობას, შეიძლება ვერ მოგაწოდოთ გარკვეული პროდუქტები ან მომსახურება. თანხმობის გაწვევის მომენტისთვის, ჩვენ ამ კუთხით გაგიწევთ კონსულტაციას.

თუ გსურთ თქვენი მონაცემთა დაცვის რაიმე უფლების გამოყენება, დაგვიკავშირდით ამ ლოკუმენტის ბოლოში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით. ჩვენ ვუპასუხებთ თქვენს მოთხოვნას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თქვენი კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დასაცავად, შესაძლოა მოგთხოვოთ ვინაობის დადასტურება. შეგიძლიათ დანიშნოთ უფლებამოსილი აგენტი თქვენი სახელით მოთხოვნის განსახორციელებლად, პირადობის დადასტურებისა და ნებართვის საფუძველზე.

თუ კალიფორნიის მაცხოვრებელი ბრძანდებით, სარგებლობთ კონკრეტული [აქ აღწერილი უფლებებით](#).

## IX. თქვენი ინფორმაციის განახლება და წვდომა

შეგიძლიათ მოირგოთ და მართოთ საკომუნიკაციო უპირატესობები და სხვა პარამეტრები PatientGO® აპლიკაციის გამოყენებით ანგარიშის ფუნქციებისა და უპირატესობების განახლებით, „არჩევა/უარი არჩევაზე“-ის ან „გამოწერა/გამოწერის მექანიზმები“-ის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომლებიც მოგეწოდებათ ჩვენგან მიღებულ კომუნიკაციებში ან ჩვენთან დაკავშირებისას. ვიტოვებთ უფლებას საჭიროებისამებრ შეგატყობინოთ მომსახურებაში ცვლილებების ან განახლებების შესახებ.

აპლიკაციას PatientGO® შეუძლია მომხმარებელს მისცეს უშუალო წვდომა მისი ანგარიშის ინფორმაციაზე და/ან შესწორებების ან განახლებების მოთხოვნაზე ნებისმიერ დროს, რაც განხორციელდება აპლიკაციის მირმა, პაციენტის მმართველის მომსახურების გუნდის მიერ. მომხმარებელს ასევე შეუძლია დახუროს საკუთარი ანგარიში უშუალოდ აპლიკაციის PatientGO®



მეშვეობით ან დაუკავშირდეს პაციენტის მმართველის მომსახურების გუნდს მისამართზე: [patigo@illingworthresearch.com](mailto:patigo@illingworthresearch.com).

ჩვენ დროდადრო ვახსლებთ ამ კონფიდენციალურობის განცხადებას. ნებისმიერი ცვლილება განთავსდება ამ გვერდზე განახლებული ცვლილების თარიღით.

## X. კონტაქტი

რაიმე შეკითხვის, კომენტარის, პრეტენზიის ან მოთხოვნის წარმოშობისას კონფიდენციალურობის ამ განცხადებასთან ან თქვენი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით, დაუკავშირდით:

მომღები: Illingworth Research Group Limited  
საფოსტო მისამართი: Hazelwood House, Tytherington Business Park, Larkwood Way, Macclesfield, SK10 2XR  
ელ-ფოსტა: [support@patientgo.com](mailto:support@patientgo.com)

ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს მისამართზე [data.privacy@syneoshealth.com](mailto:data.privacy@syneoshealth.com)

თუ იმყოფებით გარკვეულ იურისდიქციებში, როგორცაა ევროკავშირი, ასევე გაქვთ უფლება მიმართოთ თქვენს ადგილობრივ მარეგულირებელს საჩივრით თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების ან გამოყენების შესახებ. ევროკავშირში მაცხოვრებლებს შეუძლიათ მიიღონ წვდომა წევრი სახელმწიფოს ზედამხედველობის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაზე თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით [ამ ბმულზე](#) დაწკაპუნებით.

მონაცემთა დაცვის წარმომადგენელი ჩვენი საქმიანობისთვის, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს ევროკავშირისა და შვეიცარიის მონაცემთა დაცვის კანონების ფარგლებში და დაფუძნებულია ევროპის ეკონომიკური ზონისა და შვეიცარიის მიღმა, არის Syneos Health BV, ნიდერლანდები. მონაცემთა დაცვის წარმომადგენელი ჩვენი საქმიანობისთვის, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის კანონების ფარგლებში და დაფუძნებულია გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს მიღმა, არის Illingworth Research Group Limited ზემოთ მოცემულ მისამართზე.